

ქახალხო გამოცემა

სულითი იანვარი 1912 წ.

განხილვის № 673

დამაცემის № 118

კვირა, 12 აგვისტო 1912 წ.



პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი
(ზუაზი, სათვალებიანი) და მისი მსმენელი სტუდენტები.

ცერვების ნაწყვეტი

(დრამა ერთ მოქმედებად).

(დასასრული *).

IX

მართა.

მართა. ბატონო!

ოქრო. წადი, სოხოვე დიასახლისს—სტუმარია-თქმ.

მართა. (გადის მარჯვნივ და ისევ მალე გამოვა) უკაც-
რაოდ, არა სცალიან. (გადის ბარჯვნივ).

ოქრო. არა სცალიან? (მხრებს აიწევს) რა კი აგრეა...
მეტი რა გზაა, გადავდოთ.

ბეჭ. (ხელს ჩამოართმევს და უეცრივ) ახ, მართლა, ოქ-
რო, დღეს თამროსგან წერილი მივიღეთ. გულითად მოკი-
თხვას გითვლის. ეინტერესება შენი ახალი ვითარების გაგება.

ოქრო. მართლა! მისწერე ჩემ მაგიერ მოკითხვა და მა-
თან დიდი მადლობა მოვონებისთვის.

ბეჭ. უსათუოდ! იცი, ვაჟი შესძენია.

ოქრო. სადა სცხოვრობენ ეხლა?

ბეჭ. წარმოიდგინე, ინგლისში.

ოქრო. აჲ! ნეტი ისე შორს რამ წაიყვანათ?

ბეჭ. რა ვიცი. ჰკითხე მოხეტიალე კაცის ბუნებას.

ოქრო. თუ არა ვსცდები, ის შენი სიძე ცოტა ჭკუა-მხა-
რული უნდა იყოს.

ბეჭ. სულელია—თავიდან ბოლომდე.

ოქრო. ღმერთო ჩემ! ვინ ჩემი ჭკიანი თამრიკო და
ვინ ესეთი თავ-ცანცარა ქმარი. დალახვროს ეშმაქმა!
ზოგი ერთი ჭალებისა ვერა გამიგია-რა.

ბეჭ. ახა, ნაცვამდის. (ხელს ჩამოართმევს, გადის).

ოქრო. მართა, დედა-შვილობას (მართას მოჭკრავს თვალს
სასადილო ოთახში), თუ გცალიან, ერთი ხელ-პირი დამაბანინე.

მართა. მობანდით.

ოქრო. (მედის სამზარეულოში. მცირე პაუზა: გამოდის ძიდა
მელანო და გადის წინა-კარებში). X.

(გამოდის ოქრო. პირსახოცით კისერსა და ყურებს იწმენდავს).

ოქრო. სხვა, როგორ მიდის ვახშმის საქმე? ხომ შეუდექი?

მართ. უკვე! მალე ყველაფერი მზად მექნება.

ოქრო. ფული ხომ გეყო?

მართ. შეყო!

* იხ. სურათებიანი დამატება, № 117.

სულითი იანვარი 1912 წ.

განხილვის № 673

დამაცემის № 118

კვირა, 12 აგვისტო 1912 წ.

ოქრო. აბა, შენ იცი ჩემო მართა, როგორც მასახელებ. დღეს
გვინდა ცოტა წავიქეიფოთ, რას იტყვი შენ?

მართ. იქეიფოთ, ფიქრი არაა, ღმერთმა ნუ მოაკლოს შვი-
ლო, შენს ოჯახს ქეიფი და მხარულობა. (ხმა დაბლა) ეს ასეც
იქნება თუ შენ მეტ ფხას გამოიჩენ და ერთ ვინმე ციცუნიას
ხან და ხან წაუთაქებ ხოლო (ხითხითებს) თორემ ამ ბოლო
დროს მეტად შწვევედ იფხავნება და ვაი თუ...

ოქრო. (ცივალ) მართა! (პირსახოცის აძლევს).

მართ. კარგი, კარგი შენ შემოგვლოს ჩემი თავი! რაკი
შებლი შაიკარ, მეც გავჩუმდები.

ოქრო. დედა-შვილობას, თავი არ შემაძულო. სხვის
გულში ხელების ფათური სამარცხვინო ხელობაა (გადის მარ-
ჯვნივ).

მართ. (გადის სამზარეულოში).

XI

(შემოდის წინაკარებიდან მელანო და შედის ისიც მარჯვნივ).

XII

(გამოდის მარჯვნია კარგიდან სოფიო, მივა მარცხნივ საბადილო ოთახ-
თან და ეძახის) მართა!

XIII

გამოდის მართა.

მართ. ვინა ხარ?

სოფიო. აქ მო! რამე უნდა გითხრა. (მართა და ის ცოტა
ხნით მუნჯურად კამათობენ, მერე ორივენი გავლენ წინა კა-
რებში).

XIV

ოქრო და ღომინიკა.

ოქრო. (შემოილაპარაკებს) რაშია საქმე? სთქვი, მე ყურს
გიგდებ. (პაპიროს გაბოლებს, მერე პიანის მიეყრდნობა.)

ღომინიკა. (საქანელაში ჩაეშვება) აი რა: ვიღაც კაპიტა-
ლისტები, თავისი აღებ-მიცემობის გასავრცელებლად აარსებენ
ჩევენაში საკუთარ ორგანოს რუსულ ენაზე. თანა-
მშრომლებს უკვე შექცერიან პირობით, იმათ რიცხვში
რაფიკოს ნათლიასაც. ეძებენ ხელმძღვანელს, ადგილობრივი
პირობების კარგად მცოდნეს და მასთან ნიჭიერ პუბლიკისტს.
ბეჭი ფიქრის შემდეგ, მადლიან კაცებს შენზე მიუთითებიათ,
თურმე. ჯამაგირი ექვსასი თუმანი წლიურად, ამას მიუმატე
ყოველ წლივ იმათი ხარჯით საზღვარ-გარედ გასეირნება და-



6. თ. ანენსკი. „რუსკო ბოგატსტვოს“ მუდმივი თანამშრომელი.
გარდაიცვალა 26 ივლისს კუოკალში.

სასვენებლად ეს არის და ეს. ეხლა შენზე ჰკიდია ოჯახის
დაქცევაცა და აშენებაც.


ოქრო. ეს შენ ვინ გითხრა?

ღომინიკა. სხვა ვინ მეტყოდა, თუ არა რაფიკოს ნათლია,
რომელიც მის მომავალზე, ვგონებ, შენზე ნაკლებ არა ფიქრობს.

კორპუსის აჯანყება




ისსა ბოლეტინაცის მეომარნი მიტროვიცის აღების შემდეგ. ბოლეტინაცი
შუარიგშია, მარცხნიდან მეოთხე.



ოსმალთა ქვეითა ჯარი მიტროვიცას შედის.



ალბანეთის აჯანყების მეთაურის ისსა ბოლეტინაცის შესაგებებლად გა-
მოსულა ხალხი ქ. მიტროვიცასთან.



ალბანელთა ქვეითა ჯარი პრიზრინში შედის.

ოქრო. (მის სახეზე უეცრივ რაღაც უსიამოვნების ელფერი გადირბენს და თავისუა უნდა გაივლი-გამოივლის, ფანჯარასთან დადგება და შოწყენილი სივრცეს გაჰყურებს).

დომინიკა. (ქანაობს და იმავე დროს თვალებ მინაბული თვალყურს აღევნებს იმის სახის მოძრაობას) ოქრო! როცა ამ საკითხსა სწვეტდე, მოიგონე ჩვენი შეულლების ისტორია. თუ გახსოვს, მე შენი გულისითვის უარვყავი დიდი მომავალი. მი- ყვარხარო, გაიძახი, მაგრამ საქმით კი ჯერ არაფრით დაგიმტკი- ცებია. პირადად შენ და შენი მეგობრები შეიძლება ლობიოთიც იოლად მიდიოდეთ ქაჯან, მაგრამ მე როლი ვარ მაგებს დაწვეუ- ლი. აქვთ რაც იყო, იყო, დმერთმა შეგარეოს, მაგრამ ეხლა როცა ასეთი ბედი კარს მოგვდგომია, დროა გონის მოხვიდე და სამუდამოდ გამოეთხოვ ქართულ მწერლობას, რომელ- საც ყველაფერი მიაქვს და მოცემით კი არა იძლევა. სულ ერთია, სიკოცხლე მაინც არ უწერია. კმარა. შენი ვალი უკვე მოხდილია, ეხლა თავი დაგანებონ. თუ კვუით იქნები და ყველაფერს გამიგონებ, იცოდე ერთი ორად გაგაბეჭდიერებ და როცა მე ვამბობ გაგაბეჭდიერებ მეთქი, ის კიდევ ასრუ- ლდება.

ოქრო. (ერთს მიშედავს ცოლს, გაოცებული). XV

იგინივე და ელიაძე.

ოქრო. სტუმარია.

დომინიკა. (საქანელადან მიიხედავს კარებისკენ) აი თითონაც. ეხლა შენ იცი და მაგან. (ისევ განაგრძობს ქა- ნაობას).

ოქრო. მობძანდით!

ელიაძე. (დომინიკას ხელზე ეამბორება, ოქროს ხელს უჭირს) გამარჯობათ, გამარჯობათ!

ოქრო. (სკამზე უჩენებს) გთხოვთ!

ელიაძე. (ჯდება) ბატონებო! დიდი ბოდიში, თუ რითი- მე დავარღვივ აჯახური მყუდროება.

დომინიკა. სრულებითაც არა, სწორედ, რომ დროზე მობძანდით. სხვა, საიდან? კარგია მოგონებივართ.

ელიაძე. პირდაპირ შინიდან და მოხარულიცა ვარ, რომ ირივე ერთაც მოგისარით. ბევრი ლაპარაკით რომ თავი არ შეგაწყინოთ, ეხლავე შეუდგები საქმეს.

დომ. ბანეთ, ბანეთ!

ელიაძე. აი რა ბატონებო: ხვალ, ერთი პატარა საზო- გადოება მიემგზავრება ქალაქ გარედ საყორნეთის ჩანჩქერთან. იქ, რაღა თქმა უნდა, ცოტა რამ პიქნიკისებურიც იქნება გა- მართული. ვარ რა დარწმუნებული დროს ჩინგულად გატა- რებაში, მოგმართავთ ორივე ცოლ-ქმარს უმორჩილესი თხოვ- ნით, იყოთ ხეალ ჩემი წვეულნი, რითაც დიდად და დიდად დამავალებთ. (ოქროს) აბა, რას იტყვის ოჯახის ბურჯი?

ოქრო. არ შემიძლიან.

ილიაძე. რატომ?

ოქრო. ხვალ ლექციას ვკითხულობ ქართულ თეატრში.

დომ. ახ, მართლა, სულ დამავიწყდა!

ელიაძე. ა, ეგ კი ძლიერ საწყინია. რახან ასეა, სხანს ვერც თქვენი მეულლე წამობძანდება?

ოქრო. ვფიქრობ, რომ ვერა, რადგან გადაწყვეტილი აქვს ჩემს ლექციას დაესწროს: თუმცა ვინ იცის, იქნებიქ წამოსვლა ამჯობინოს. (დომინიკას) რას იტყვი?

დომ. უკან მიმა ქვეს ჩემი სიტყვა.

ოქრო. რატომ?

დომ. მიტომ, რომ თუნდ ერთი დღით გადახრუკულ ქა- ლაქიდან გასვლა ბუნებაში, ჩემთვის უფრო საინტერესოა, ვინემ ლექცია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ძალიან შინაარსინიც იყოს.

ოქრო. კარგი-კარგი. როგორც გსურდეს. (ელიაძეს) მო- მილოცნია! ჩემს ლექციას თქვენმა პიკნიკში აჯობა! (იცინის).

ელიაძე. დიალ-დიალ! (ისიც იცინის იმასთან ერთად. წა- მის შემდეგ დომინიკას) პატივცემულო ნათლიდედა! მაშ მივ- დივართ?

დომ. დიალ მივდივართ, თუმცა ცოტა არ იყოს შეჩითი- რება უცნობ საზოგადოებაში ყოფნა.

ელიაძე. მაგისი ნუ გედარდებათ, იქ ნაცნობებიც იქნე- ბიან და ჩვენი ქვეყნის დიადი ბუნებითაც დასტებებით. სხვა არა იყოს რა, საყორდნეთის ჩანჩქერის ნახვა ერთ რამეთა ღირს.

XVI

მარ. (ოქროს) ის კაცი გიახლათ სტამბილან.

ოქრო. სადაა?

მარ. იქაა, უკანა აივანზე. (შედის სამზარეულოში).

ც უ რ ვ ი ს ს ა ქ ე ვ



ინუნერმა ბლანკუსომ გამოიგონა საცურაო მანქანა. მისი წყალობით მოცურავე მუდამ წყლის ზედაპირზეა და სათში 10 ვერსხე მეტს გასცურავს.

ოქრ. (ელიაძე) უკაცრავად, მე ეხლავ. (გადის სასაღილო ოთახით უკანა აივანზე).

ელიაძე. (პაპიროსს გააბოლებს) ჩემო ლამაზო! უველა ამას მხოლოდ შენთვის ვჩადივარ. მაშ ასე, ის არ მოდის. მით უკეთესი. ჩვენც ხომ ეს გვინდოდა!

დომ. ახ კოტე, რა კუდიანი რამა ხარ! ისე მოაჩვენე თავი, თითქოს არ იცოდი, რომ ხვალ არ ეცალა.

ელიაძე. რას იზავ, ჩიტუნი! ჰეითხე შენს მწველ თვალებს, ჰეითხე სიყარულს. შენი თილისმა რას არ ჩადენინებს კაცს. ხვალ მე შემოგიარო, თუ?

დომ. არა, მე თვით გამოვალ. შენ დამიხვდები თეატრის ბაღში.

ელიაძე. იცი, რა დროს?

დომ. ამას შენ მეტყვე.

ელიაძე. დილით, საათის ათზე.

დომ. ძალიან კარგი.

ელიაძე. ეგ ყველა კარგი, მაგრამ, რომ მოდიხარ არ გეშინიან?

დომ. რისა?

ელიაძე. იმისა, რომ გადავწყვიტე ხვალ სულ ერთიან შეგქამო, ჩაგახრამუნო.

დომ. (ნელა ჩიტუნისკისებს). ელიაძე.

ელიაძე. რომ იცოდე სულიკო, რა ბედნიერი წუთები მოგველის იქ ბუნების წიალში. ხვალაც და მერე თუნდ მომკალი სიცოცხლის ჩარხო... ახ! ის საღამო ბოტანიკურ ბაღში, ტკბილი, ნაზი, დამათრობელი!

დომ. (ეშიოთ) ძალიან გენატრება?

ელიაძე. ჩემო ლვთაებავ!

დომ. გამიგონე კოტიკ! მე მინდა, ერთხელ კიდევ მოგაგნო, რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, ჩემს აბუჩად აგდებას იაფად არ დაგისომ.

ელიაძე. მაგას რად ამბობ, ჩემო კეკლუცო?

დომ. გუშინ შებინდებისას ვინ გეჯდა ეტლში?

ელიაძე. ჩემი დეიდაშვილი ანეტა.

დომ. არა სტუუ?

ელიაძე. ვფიცავ ჩვენ სიყვარულს. ბარემ აქვე გამისკდეს მიწა და თან ჩამიტანოს, თუ შენდამი ორგულობა ფიქრადაც გავიტარო. არა, მე ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის ერთი საუკეთესო ქალი, ჩემია დღეს და იმას დე—ხორციელი ვერ დამაშორებს. სხვა, რა არის ახალი შენს შინაურ ცხოვრებაში?

დომ. გუშინ და დღეს რაფიკო მყავდა, ცოტა უქეიფოდ.

ელიაძე. ვაი შენ ჩემო თავო! რა მოსვლია?

დომ. ოქრო ამბობს „თიაქარიაო“.

ელიაძე. ექიმმა?

დომ. ამ ხანად ექიმი არ მოგვიწვევია.

ელიაძე. (წამის შემდეგ) უთხარი ჯერ იმ საქმისა?

დომ. ჰო?

ელიაძე. რაო?

დომ. არა უთქამს რა. შენმა მოსვლამ შეგვიშალა ხელი.

ელიაძე. ყოველი ლონე ილონე, როგორმე დაითანხმო. თუ ეს მოხდა, ჩვენი საქმე გაჩალებულია. (ისმის კულისებში ოქროს ხმა: „მასე ემჯობინება, მასე. რაო? ჰო, ეგ შენი ნებაა, თუ გინდა შეიარე“).

დომ. (როცა ოქროს ხმას გაიგონებს) სსს! მოდის. (აღგება) წავიდე ერთი ჩემს ბიჭიკოს დავხედო. (ელიაძე) არ გამებარო! (გადის მარჯვნივ).

ელიაძე. (წამოდგება და გაივლ-გამოივლის).

ერთობენ გამოივლიან გამოივლიან.

XVII

თ ქ ვ ე ნ.

ელიაძე. (ოქროს, შემოსვლისას) მორჩით?

ოქრ. დიალ.

ელიაძე. (პაპიროსს უთავეზებს) გთხოვთ!

ოქრ. გმაღლობთ, ეხლახან გაახელით. (ჯდება სავარებელში).

ელიაძე. (თითონ გააბოლებს. წამის შემდეგ) ახალი ამბავი გაიგეთ?

ოქრ. რა ახალი ამბავი?

ელიაძე. განა ქ-ნ დომინიკას თქვენთვის არა გადმოუკია?

ოქრ. ჰო, დიალ გადმომცა, მინდოდა პასუხი გამეცა და ის იყო თქვენც მობანდით.

ელიაძე. ჩემი აზრით, ჩინებული პერსპექტივაა.

ოქრ. ყველასათვის არა.

ელიაძე. თითქოს ყოველი პირი მობანდით.

ოქრ. უფრო მეტიც. შე სრულის შეგნებით უარსა ვყოფ თქვენს წინადადებას.

ელიაძე. ეგ თქვენი უფლებაა, მაგრამ მიზეზი, ბატონო იქრო, მიზეზი?

ოქრ. სინიღისით არა ვვაჭრობ.

ელიაძე. აჲ! ეს ჩემთვის რაღაც ბუნდოვანია, არ შეიძლება, ცოტა გარკვევითა ბძანოთ?

ოქრ. (უფრო ცივად) თქვენი სურვილია, რომ მე, დემოკრატიის იდეოლოგმა, რწმენა ექვსას თუმნად მიყყიდო ბურუჟაზიას. არა ბატონო, მაღლობას მოგახსენებთ! ჩირქ მოუცხებელი კაცური კაცობა ჩემი ერთად ერთი სიმღიდოება, რომელიც თავის ღროვაზე ჩემს მემკვიდრეს მინდა ვუანდერძო.

ელიაძე. ჰე! ეს არის და ეს?

ოქრ. დიალ, დიალ.

ელიაძე. ლმერთია მოწამე, მე კეთილი მსურდა... ისე კი თქვენი ნებაა.

ოქრ. Merci, Merci!

ელიაძე. აი მაგალითად, მეც ჩავეწერ თანამშრომლად, თქვენის აზრით მე...

ოქრ. რა მოგახსენოთ. იქ შემთხვევაში თუ ზნეობრივ პრიციპებთან მწყრალად ბძანდებით, მაშინ ეს უკანასკნელი საქციელი ლოლიკური გაგრძელება იქნება მთელი თქვენი წარსულისა.


ელიაძე. (სახეზე მრისხანება გადურბენს, მაგრამ მაღლ შეიკვებს თავს) ეს ძალიან მაგრადა თქმული.

ოქრ. შეიძლება, შეიძლება. (ერთს გაივლ-გამოივლის უცცრივ შედეგება) ბ-ნო ელიაძე! მე კაი ხანია მინდა ერთ რამეზე მოგელაპარაკოთ.

ელიაძე. ბძანეთ, ბძანეთ!

ოქრ. ჩემს შინ არ ყოფნის დროს, თქვენში ჩემდა მიმართ დიდი ცვლილება მომხდარა, არ ვიცი კი რას მივაჭრო. რამდენადაც მე მახსოვრები არას დროს არა

ც უ რ ვ ი ს ს ხ ე ვ



ბლანკუსის საცურაო მანქანით ცურაობა.

ვყოფილვართ, პირიქით, იყო დრო, როცა ყოველ ღონესა ხმარიბრით რითები გევნოთ... მაგრამ მას შემდეგ რაც ლამაზი ცვერი შევირთე, თქვენ, რაღაც მანქანებით ჩემი რაჯახის უერთგულესი კაცი ხდებით. ჩემის აზრით, თქვენი განგრახვაა, ერთ და იმავე დროს ცოლიც წამართვათ, რა თქმა უნდა, თუ ჯერ არ წაგირთმევიათ და ჩემი აღმიანური ლირსებაც ტალაში ამოსვაროთ.

ელიაძე. ბატონო, ოქრო! სინდისს გეფიცებით, რომ არა-ფერი მაგის მსგავსი გულში არ გამივლია. დიდად ვწუხვის,

რომ ოქვენ ჩემი საქციელი, ჩემი თავაზიანი მოყვრობა ოქვენი ოჯახისადმი სულ სხვანირად აგიხსნიათ.

ოქრ. ცოლი შევირთე რომელიც უზომოდ მიყვარს, მოვეწყე ჩემ გემოზე, მეგონა ცოტათი სულს მოვითქმდი, მაგრამ დახე კაცის უცელობას! მოხვედით ოქვენ და ყველაფერი აგვიფორიაქეთ. ის ეხლა თქვენის ენით ლაპარაკობს. ყოველ მის საქციელში, ყოველ სიტყვაში თქვენი გავლენა გამოსჭივის. იმის კვლავ ვადმოსაქართულებლად საჭიროა ისევ თავიდან დავიწყო, ეს კი ჩემგან მოითხოვს გაორკეცებულ სულის ძალას. რა პასუხს მაძლევთ? ნუ დაივიწყებთ, რომ ოქვენ შეეხეთ ჩემი ცხოვრების უფაქიზე და უსათუთეს მხარეს.

ელიაძე. ახირებულია! რა პასუხსა მთხოვთ, როცა მე თქვენთვის არა წამირთმევიარა. რაკი ჩემი მოყვრობა და ნაცნობობა გეთაცილებათ, ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ, მოძალე ვინაა? (უკან იხევს).

ოქრ. ბ-ნო ელიაძე! ერთი წუთიც.

ელიაძე. ბძანეთ. იმედია ეხლა მანც შეიბრალებთ ჩემს თავიდან მოყვარეობას და ამაზე უარესს არ მაკადრებთ.

ოქრ. აი რა! მოსალოდნელ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, თქვენ უთუოდ უნდა ჩამოშორდეთ ჩემს ოჯახს და რაც შეიძლება მალე, რომ ოქვენი ხმა აღარ ისმოდეს ჩემს ახლო-მახლო. მერწმუნეთ არივესთვის ასე ემჯობინება. ჯერ-ჯერობით სხვა არაფერი, ხვალ კი მაგალითად თუ ძალიან აინიუ, შეგიძლიანთ წაიყვანოთ პიკნიზე, მით უმეტეს მე იმს ჯერ კიდევ ვენდობი. არა მგონია ისე დაეცეს სულით, რომ თავის ოქროს ვინებ ულაყი ამჯობინოს.

ელიაძე. (ალელვებით) ბატონო ჩემო! თქვენ ბოროტად სარგებლობა მასინძლის მდგომარეობით, მაგრამ რა იცით, რომ სხვა დროს და სხვა ალაგას, ასე ადვილად შეგარჩენ ამ თავხედობას! მშვიდობით!

XVIII

დომინიკა.

დომ. ბატონო კოტე საით? მოითმინეთ, რა მოხდა, რა ამავია?

ელიაძე. არაფერი, არაფერი. უკაცრავად არა მცალიან, უნდა გიახლოთ. მშვიდობით! (გადის საჩქაროდ).

დომ. (ერთი წამით ოქროს თვალს-თვალში გაუყრის) ოქრო! რა მოხდა თქვენ შორის?

ოქრ. მაგდენი არაფერი.

დომ. პასუხი მეთქი!

ოქრ. ნუ ჰყენირი! ეს და მაკლია, რომ ჩემი უბედურება მთელმა ქვეყანამ გაიგოს. ლაპარაკი იმ ექვსას თუმანზე ჩამოვარდა, მე დიღის მაღლობით უარი უთხარი, ამაზე ცოტა იტკიცა, მერე შევყევით, შემოვყევით და ის იყო შენც შემხველი.

დომ. უარი უთხარი?

ოქრ. დიალ.

დომ. რატომ? სანამ უარს იტყოდი, რატომ მეც არა მკითხე? დაგვიწყდა ჩემი წელანდელი ნათქვამი?

ოქრ. ის კითხვა მე მეხებოდა, მაშასადამე მევე უნდა გადამეტრა. არ მესმის, შენ აქ რა შუაში ხარ!..

დომ. მაშ, აგრე? კარგი, ოქრო. რახან ასეა, ეხლა მე ვიცი. ხოლო მერე კი არ ინანო. (მივა ფანჯარისთან და გარინდული სივრცეს გაპურებს).

ოქრ. ვითომ რატომა? არ შეიძლება ჩენც ვიცოდეთ? ეს, დომინიკა, დომინიკა! რაც უფრო ვცდილობ შენს ამაღლებას, მით უფრო ძირს ეშვები და მთელი ჩემი უბედურებაც ამაშია სწორელ. მეგობარო! გონს მოდი, საით მიდიხარ, ან მე საით მიმაქანებ? უკანას კერად გემუდარები მოიკრიფო ძალ-ლონე და ჩამოშორდე იმ, ჩენგობის უცხო, უშინაარსო საზოგადოებას, ვისთანაც დაახლოვება გახრწნის და გააპარტახებს ჩენს პატიოსან ოჯახს. თუ შენ არ გადამიღები და ასე მალე არ ჩამიქრობ შენგითვე ანთებულ ლამპარს, ნურათერისა გეფიქერება. ამ, რომ იცოდე რა ბევრი დამოკიდებული მაგ შენ ღვთაებრივ ღიმილზე და ეთეროვანი ტანის რხევაზედაც კი. დომინიკო! ბევრი ტანჯვის შემდეგ ბედმა შენით მოაკრიალა ჩემი უფერული ცხოვრების ცა, ამიტომ მინდა იყო ჩემთვის ყველაფერი ჩემი ღუნება, ჩემი იმედი, ჩემი გატაცება. გესმის დომინიკო, გესმის? შენ თუ რამ დამითმე, სამაგიეროდ არც მე ჩამოგრჩი. ღმერთია მოწამე,

სულს იქით რაც კი გამაჩნდა, ყველაფერი შენ განაცვალე, საყვარელი დედაც კი, რომელიც კელაპტარივით მინათებდა ცხოვრების გზას და რომელიც ჯერ არაფრით არ გამიხარებია. ყველა ეს კი იმიტომ, რომ მიყვარხარ მთელის ჩემის არსებით, ჩემო ხატებავ! მომისმინე უკანას კერად! როგორც წელან გითხარი, ამაღამ მოვლენ ჩვენსა ჩემი საუკეთესო შეგობარნი. ვისთანაც დაახლოვება-შეცვედრას შენ რაღაც მიზეზით თითქოს გაურბოდი, იმათ კი შენს წინაშე კარგის მეტი არა მიუძლვით-რა. ყოველი ღონე იღონებს შენი გულის მოსაგებად, შენ სამებლად, მაგრამ ნაბიჯი წინ მაინც ვერ იქნა გადაღმული. აქამდე ასე თუ ისე გქონდა საბუთი: ფეხ-მძიმობა, ჩემი რამდენიმე ხნით ციხეში ლოფნა, და სხვა ოჯახური წვრილ-მანი, მაგრამ ეხლა, როცა ყველაფერი ხელს გიწყობს და მასთან რაფიკოც წამოგვეზარდა, ყოველი უადგილოა. თუ გსურს ადამიანური სიცოკხლე, ღრამა ბოლო მოელოს ამ უწესოებას. გარემოება ხელს გიწყობს, დაუახლოვდე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს და შენც უნდა ისარგებლო ამით. მე ისინი დაგარწმუნე რომ შენ იმათ პატივსა სცემ, ისე როგორც მე. იმათ რიცხვში იქნებიან ძვირფასი შიოდ მისი ცილი ღლა. ღლობებით, რაღაც ზემომზირი არა-სებანია, აღსავსე ყოველი სიკეთითა და სიმპატიით. იმათსა, რომ შედიხარ, ასე გგონია წუთი-სოფლის სიფლიდე კარში გრჩება და შედიხარ შიგნით რაღაც იღუმალი სასოებით. ოღა სამაგალითო მოქალაქე და ქართველი დედა. არ მიატოლო იმ ჩვენ გადაშენებულ კუდა-ბზიკებს. ო, იმასთან დაახლოვება შენ სრულიად გადაგაბალისებს. ერთი სიტყვით, დღეიდან შენ იწყებ დაახლოვებას ჩემს საყვარელ წრესთან და იმედია გულით მოეკიდები ამ საქმეს. რომ შენ არ შემეწუხებინე, მართას მივანდე ვახშის თადარიგი, საკირო ფულიც მივეცი. დანარჩენი შენთვის მომინდვია. რას იტყვი? იცოდე როში ერთი: ან ეხლა, ან არასოდეს.

დომ. (გაუნძრევლაც) მობძანდნენ, დამშლელი არა ვინაა, ხოლო მე კი გამანთავისუფლე დიასახლისის მოვალეობისან.

ოქრ. რატომ?

დომ. აღმად არის მიზეზი.

ოქრ. რა მიზეზი?

დომ. სხვაგან მივდივარ.

ოქრ. მე რა გითხარი? ხა-ხა-ხა! ათას ხატზე დავიფიცავ, რომ შენ ჭიუიდან იშლები. საცაა სტუმრები მოვლენ და შენ ტყეში გარბიხარ?

დომ. როცა ჩემი სტუმრები მოვლენ, მაშინ მე არსად არ წავალ.

ოქრ. (აღელვებული) ა, სატანა. მე ვხედავ, რომ შენი საქციელი დღეს გონებას შემირყევ!

დომ. (უეცრივ სარკასტიულად ჩაიკისკისებს, მაგრამ იმ წამსვე შეიკავებს თავს და მიბრუნდება ოქროსკენ) მოწყალეო ხელმწიფე! მოესპოთ კამათი. ამიერიდან ჩვენი ერთ კერ-ქევშ ყოვნა შეცდლებელია, ამიტომ ჩვენ ამაღამვე მივარევებთ თქვენს სახლს.

ოქრ. ვინ თქვენ?

დომ. რა თქმა უნდა მე და რაფიკო. ან იქნებ შვილისათვის შეტი იყოს დედის ალერსი?

ოქრ. არა, ასეთი ველური აზრი არასოდეს არ მოშველია თავში, მაგრამ იბადება კითხვა: რაფიკოს მართლაპყავს დედა, როგორც ზნეობრივი ხელმძღვანელი, დედა ნაზი, სათნო, მოსიყვარულე თუ არა! თუ ჰყავს, რა უფრო ძვირფასია მისთვის შვილი თუ საყვარელი. ხა-ხა-ხა-ხა!

დომ. (მივარევება და სილას გააწნავს) პლებეი!

ოქრ. ა! (ლოყაზე იტაცებს ხელს, იმ წამსვე ლორენი ერთმანეთს გამბვინვარებულნი მივარევებიან. რამდენიმე წამით ჩუმი ბრძოლაა. მერე ოქრო დასკვემ ტანტზე და დახრჩობს).

სტუმრები.

სტუმრები. (ამ სურათის დანახვაზე შეპყვირებენ თავზარდაცემულნი და გაშეშდებიან).

ოქრ. (კანკალებს. ეფარება მიცვალებულს.) არაფერია. არაფერი. მე მხოლოდ ჩემი წილი ბედნიერება მოვკალ! (ხარხარებს).

ფარდა.

რ. რამიშვილი.